საქართველოს მთავრობის

დადგენილება №112

2019 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესი“.

მუხლი 2

დადგენილება, გარდა დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის“ 37-ე და 38-ე მუხლებისა, ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3

დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარული პრეპარატების რეგისტრაციის, წარმოების ავტორიზაციისა და კონტროლის წესის“ 37-ე და 38-ე მუხლები ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**